ხაშურის მოამბე

№39(363) 25 ოქტომბერი, სამშაბათი, 2022 წელი

“ხაშურქალაქობა-2022”- დღესასწაული, რომელიც მუდამ ჩვენთანაა

მეეჭვება, რომ მსოფლიოს რომელიმე ენაში, მოიძებნებოდეს ერთი სიტყვით გადმოცემული ის განწყობა, შეგრძნება თუ ემოცია, როგორიც ქართულ “დღესასწაულში”. პირველი ემოცია, სწორედ ამ სიტყვით იწყება

და მისი წარმოთქმისთანავე იგულისხმება იმ კონკრეტული დღის გამორჩეულობა, “ზეიმი”ვერაფრით ანაცვლებს ამ საოცარ სიტყვას, რადგან “ღესასწაული” მართლაც სასწაულით მეტია ზეიმზე და რიგითობით ბევრად მაღლა დგას.

ჩვენი ქალაქი სამი წელი ელოდა ამ დღეს. 2011 წელს დამკვიდრებული და თითქმის უკვე ტრადიციული დღესასწაული, რომელიც მთელ მუნიციპალიტეტს აერთიანებს და სიხარული მოაქვს ყველასთვის, იმ ავადსახსენებელი კოვიდრეგულაციების გამო, სამი წელი გაჩერდა. პანდემია არ ცნობს ასეთ დღეებს და მის შავ ფერებში შეუძლებელია ცისარტყელას ულამაზესი ფერების გარევა. რომც გაურიო, იმ ემოციებს და სიხარულს მაინც ვერ მიიღებს, რადგან იმ პერიოდში მასაში ტკივილია უფრო მეტი. დიახ, სამი წელი ელოდა ამ დღეს ჩვენი ქალაქი და ეს

დღეც დადგა-23 ოქტომბერი. საერთოდ, ეს თვე ისე დაიწყო, რომ ძირითადად, ნისლი და ცრიაკი ამინდები ჭარბობდა, რაცზაფხულში დაგვაკლდა, ახლა ანაზღაურდა თითქოს და ჭარბმა ნალექმა ყველას მოგვაბეზრა თავი, მაგრამ 23-ში, თითქოს ბუნებამ სიურპრიზი გაუკეთა ჩვენს ქალაქს და ისეთი ბრჭყვიალა დღე გვაჩუქა, რომ მართლა ოქროსფერი მზე მთელი დღის განმავლობაში მთავარი სტუმარი იყო დღესასწაულისა.

დღესასწაული კი დილიდან დაიწყო. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მერიის შესაბამისმა სამსახურებმა, განსაკუთრებით კი კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურმა უზარმაზარი შრომა გასწიეს, რომ ქალაქი ღირსეულად შეხვედროდა ამ სღეს. შესანიშნავად შეირჩა მთავარი ლოკაციის ადგილიც-ცენტრალური მოედანი, სადაც განთავსებული მშვენიერი სცენა უკვე დილის 9 საათიდან უხმობდა ყველას. მოედნის მიმდებარე კოსტაავს ქუჩა, იმ ადამიანებმა “დაიპყრეს”, რომლებიც თავისი შემოქმედებით ალამაზებდნენ ქალაქს. რას არ ნახვდით აქ-საუცხოო ფერწერული ტილოები, ნაქარგები, მინიატურული ნამუშევრები. მათ გვერდს უმშვენებდნენ ადგილობრივი მეწარმეები. პარალელურად, მუნიციპალიტეტის სოფლების მესვეურებმა, საკუთარი კუთხეები მოაწყეს და ამ სოფლებში მოწეული შემოდგომის ნობათებით იწონებდნენ თავს.

თერთმეტ საათზე ულამაზესი კოსტუმირებული მსვლელობა დაიწყო, რომლის დროსაც, თოჯინების თეატრის ზღაპრის გმირები კიდევ ერთხელ ახსენებდნენ თავს მოზეიმეებს. ამავდროულად, მოსწავლეები პეინტბოლის ჩემპიონატში ჩაერთვნენ, მოჭადრაკეებმა კი ღია პირველობაში სცადეს ბედი. თორმეტი საათისთვის, მთავარი სცენა ადგილობრივმა შემოქმედებითმა ჯგუფებმა დაიკავეს, ერთმანეთს ენაცვლებოდნენ მომღერლები და მოცეკვავეები. უნდა აღინიშნოს, რომ მათი შემოქმედება წლიდან წლამდე იზრდება. სასიამოვნოა, რომ ისინი საერთაშორისო ასპარეზზეც ამბობენ თავის სიტყვას და საზღვარგარეთ გამართული არაერთი ფოლკლორული ფესტივალების “გრანპრის” მფლობელები თუ ლაურეატები არიან. ამიტომაც მიიღეს მათ მადლობა და ჯილდო მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობისგან. ესენი არიან: “მომავლის სახლის“ (ხელმძღვანელები ია გასიშვილი და ნინო აბაიაძე); ლევან ტაბატაძე-თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მომღერალი; ქორეოგრაფიული ანსამბლი “ფრესკა(ქორეოგრაფები:ელენე და გიორგი

რატიანები); ხაშურის სამუსიკო სკოლის მევიოლინეთა ანსამბლი(ხელმძღვანელი ფატი სადაღაშვილი); ბავშვთა ვოკალური ანსამბლი “ცხრამუხა(ხელმძღვანელი ლიანა ტატიშვილი)”; ქორეოგრაფიული ანსამბლი “ოქროს ფარი“ (ხელმძღვანელები: ნონა და პაატა თედიაშვილები)”; ხალხური სიმღერისა და გალობის ანსამბლი “ქართლი“ (ხელმძღვანელი გიორგი შუბითიძე)”; ქორეოგრაფიული ანსამბლი “სურამი“ (რევაზ გელაშვილის ხელმძღვანელობით)”; ქორეოგრაფიული ანსამბლი “სალაღობო“ (ქორეოგრაფები ლია ბერუაშვილი და ალექსანდრე ამბარიძე)”; თოჯინების თეატრი (ხელმძღვანელი გიორგი ბოლოკაძე, რეჟისორი ლალი კახეთელიძე).

ზეიმზე იმ აბიტურიენტებსაც (აწ უკვე სტუდენტებს) მიეგოთ პატივი, რომლებმაც მართლაც ასახელეს მშობლიური სკოლა, პედაგოგები და ხაური და ასპროცენტიანი შედეგი აჩვენეს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე. ფულადი ჯილდოები გადაეცათ: ლუკა შუბითიძეს, მარიამ გელაშვილს, ნინო აბულაძეს, თამარ კობალაძეს, მარიამ კოზანაშვილს, მარიამ

(დასასრული II გვერდზე)

“ხაშურქალაქობა-2022”- დღესასწაული, რომელიც მუდამ ჩვენთანაა

(დასასრული)

ლომიძეს, დალი ორაშვილს, ეკატერინე ხვედელიძეს, სალომე ლომიძეს და მარიამ კოკოზაშვილს.

ამის შემდეგ სპორტსმენების ჯერი დადგა, რომლებმაც საერთაშორისო ასპარეზზე ისახელეს თავი: ლევან ქელეხსაშვილი (მსოფლიო ჩემპიონი ქვიშის ჭიდაობაში), დიმიტრი მულაძე(მსოფლიო ჩემპიონი ვეტერან ძიუდოისტებს შორის), ზაურ დვალიშვილი(მსოფლიო უნივერსიადის მეორე ადგილოსანი ჭიდაობა სამბოში), გიგა ოდიკაძე(საქართველოს ჩემპიონი ძალოსნობაში, ევროპის ვერცხლის პრიზიორი ახალგაზრდებში), გიორგი ნოზაძე(მსოფლიო ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში), ლუკა მაისურაძე(საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, 2022 წლის ევროპის ჩემპიონი და მსოფლიო პირველობის პრიზიორი), ტატო გრიგალაშვილი (მსოფ-

ლიო და ევროპის ჩემპიონი ძიუდოში), პარალელურად დაჯილდოვდნენ მათი მწვრთნელებიც.

ღონისძიებაზე განსაკუთრებული მადლიერებით მოიხსენიეს სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულებისას გარდაცვლილი პოლიციელი პაატა ესიაშვილი და მეხანძრე-მაშველი თორნიკე კიპაროიძე. მათი ოჯახის წევრებს საპატიო სიგელები გადაეცა.

დაჯილდოებების კულმინაცია კი გახლდათ საპატიო ხაშურლების წოდების მინიჭება იმ ადამიანებისთვის, რომლებმაც თავისი ღვაწლით დაიმსახურეს ეს პატივი. მათ მართლაც უმწიკვლო შრომით მიაღწიეს ამ აღიარებას და რაც მთავარია, უდიდეს სიყვარულს თანამოქალაქეებს

შორის. ამ დღეს, ხაშურის საპატიო მოალაქეთა რიგებს შეუერთდნენ:-ლია მათიაშვილი-მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ათასობით ბავშვის მკურნალი და გადამრჩენელი, მაყვალა ხაჩიძე-ცნობილი ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე, მონიკა გელაშვილი-დამსახურებული პედაგოგი, ფრანგულა ენისა და ლიტერატურის ქომაგი და ხელშემწყობი, ლუკა მაისურაძე-ძიუდოისტი, ევროპის მოქმედი ჩემპიონი, მსოფლიოს პრიზიორი.

ზეიმი კი გრძელდებოდა. განსაკუთრებით პატარების განწყობა იყო საოცარი. მათი ჟრიამული თუ მხიარული კისკისი ისმოდა ყოველი კუთხიდან, მათი ემოციები კი უფროს თაობაზე გადადიოდა. ჩვენი ჟურნალისტები მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს გაესაუბრენ, რომლებსაც უდიდესი წვლილი მიუძღვით, რომ “ხაშურქალაქობა” ასეთ მაღალ დონეზე გამართულიყო.

ზაალ დუგლაძე-მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში: –ხაშური ჩემი განსაკუთრებული სიყვარულია, ეს არის ქალაქი, რომელიც ყველაზე ძვირფასია ჩემთვის. ის მართლაც იმსახურებს ასეთ ზეიმს. ვულოცავ თითოეულ ჩვენს თანამოქალაქეს ამ დღეს...

თენგიზ ჩიტიაშვილი, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი: –საოცარი განწყობა გეუფლება ადამიანს, როდესაც ამდენ გაღიმებულ სახეს ხედავ. მეც უზომოდ ბედნიერი ვარ. ხაშური თავისი ეკონომიკით თუ კულტურით მუდამ იყო ქვეყნის მოწინავე ქალაქებს შორის და მიხარია, რომ ეს ტრადიცია დღემდეა შენარჩუნებული. ეს ზეიმი და ხალხის განწყობა კი იმედს მისახვას, რომ ხვალინდელი დღე ჩვენი ქალაქისთვის კიდევ უფრო უკეთესი იქნება...

ნინო ლიპარტელიანი-ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე: –საოცარი დღეა. ყველაზე სასიხარულო კი ისაა, რომ ეს დღესასწაული თითოეული ხაშურელის გულამდე მივიდა. მათი განწყობა, მათი ემოციები მაძლევს ამის თქმის უფლებას, დიახ, “ხაშურქალაქობა” ნამდვილ სახალხო დღესასწაულად იქცა და მეც, როგორც უამრავ ჩვენს თანამოქალაქეს, ეს ძალზედ მაბედნიერებს...

მიხეილ შაყულაშვილი-შიდა ქართლის რეგიონის გუბერნატორი: –გილოცავთ ყველა ხაშურელს ამ დღესასწაულს, ჩემთვის დიდი პატივია, რომ ამ ზეიმის მონაწილე ვარ. ხაშური საკვანძო ქალაქია და ჩვენი თუ ადგილობრივი ხელმძღვანელობის ყოველდღიური შრომა იქითაა მიმართული, რომ მისი როლი უფრო ამაღლდეს. იმედია, ასეც იქნება.

გვიან ღამემდე არ იშლებოდა ხალხი. გვიან ღამემდე გაგრძელდა ზეიმი, რომლის გვირგვინი იყო გალაკონცერტი, სადაც ანსამბლმა “ბანამ”. ლევან ტაბატაძემ, დავით არჩვაძემ, ნინი მალხაზიშვილმა,

სოფო საჟინიანმა, ჯგუფმა „სპამ ჯემ“ და ოთო ნემსაძის ბენდმა დაუვიწყარი საღამო აჩუქეს დღესასწაულის მონაწილეებს.

ტარდიციულად, ზეიმი ულამაზესი ფოიერვერკით დასრულდა.

დღესასწაულის მონაწილეებს კი თან გაჰყვათ იმედი, რომ მათი საყვარელი ქალაქი უფრო მეტი წარმატებებით შეეგებება მომავალ “ხაშურქალაქობა-2023”-ს.

(გაგრძელება. დასაწყისი იხ.„ხმ“,#36,37,38)

1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი ხაშურის მუნიციპალიტეტის შესახებ

(მოსახლეობა და ეკონომიკური მდგომარეობა)

ვაყაზე გაწერილი იყო 390 ქილა ხორბალი (7800 ახჩა), 180 ქილა ქერი (2700 ახჩა), 60 ქილა ჭვავი (900 ახჩა) და 900 ქილა ფეტვი (1350 ახჩა). გადასახადს იხდიდნენ ერბოზე - 350 ახჩას, სკაზე - 200 ახჩას, ცხვარზე - 1500 ახჩას, ღორზე - 500 ახჩას.

უშრის გადასახადი 90 დონუმ ვენახზე შეადგენდა 3600 ახჩას.

არუსანეს გადასახადს იხდიდნენ 180 ახჩის ოდენობით. დეშთიბანისა და მიწაზე თაფუს გადასახადი შეადგენდა 500 ახჩას.

ვაყაში 3 თვალი წისქვილი იყო, რომლებზეც სრული წლით გადასახადი გაწერილი იყო 360 ახჩა.

ბადიჰავასა და მასში გაერთიანებული გადასახადების ოდენობა 900 ახჩა იყო.

სოფელი ვაყა საოსმალო გადასახადს იხდიდა 33300 ახჩის ოდენობით.

სოფელ სომანეთში 12 კომლი მოსახლეა. გადასახადის გადამხდელი სრულასაკოვანია 20 კაცი, რომლებიც იხდიან ისფინჯის გადასახადს 2400 ახჩის ოდენობით. მიწაზე დღიური მფლობელობა ამ შემთხვევაშიც 50 ახჩით არის განსაზღვრული.

მოსახლეობა იხდიდა 100 ქილა ხორბალს (2000 ახჩა), 50 ქილა ქერს (750 ახჩა), 20 ქილა ჭვავს (300 ახჩა) და 40 ქილა ფეტვს (600 ახჩა). გადასახადი შეწერილი ჰქონდათ ერბოზე - 200 ახჩა, ცხვარზე - 300 ახჩა, სკაზე - 120 ახჩა და ღორზე - 90 ახჩა.

სომანეთელები უშრის გადასახადს იხდიან ხილზე - 150 ახჩას.

არუსანეს გადასახადი 120 ახჩაა, დეშთიბანისა და მიწაზე თაფუს გადასახადიც 120 ახჩაა.

ორ თვალ წისქვილზე სრული წლით იხდიდნენ 240 ახჩას.

ბადიჰავასა და მის ჯგუფში გაერთიანებული გადასახადების ოდენობა 250 ახჩაა. ოსმალური გადასახადების ოდენობა სომანეთელებზე 7540 ახჩას შეადგენდა.

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი დიდი სოფელია ალი, სადაც აღწერილია 120 კომლი. აქ დაფიქსირებულია გადასახადის გადამხდელი 193 სრულასაკოვანი კაცი. ისინი ისფინჯის გადასახადს იხდიან 9000 ახჩის ოდენობით.

დავთარი ჩვენს ყურადღებას იპყრობს იმით, რომ მასში მითითებულია ალში დუქნების რაოდენობა. ეს იმაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ ალში განვითარებულია აღებ-მიცემობა, ვაჭრობა. ალი ამ მხრივ ისტორიულად ცნობილი იყო, რაზეც კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს დავთარი. ალში ფიქსირებულია 61 დუქანი.

სამეუფეო ველის დღიური მფლობელობა 20 ახჩაა, სამეუფეო ვენახის მფლობელობა კი 12 ახჩა. რაც შეეხება მიწაზე დღიურ მფლობელობას, იგი 150 ახჩით არის განსაზღვრული.

ალელებზე გაწერილია 120 ქილა ხორბალი (2400 ახჩა), 90 ქილა ქერი (1300 ახჩა), 40 ქილა ჭვავი (600 ახჩა) და 40 ქილა ფეტვი (600 ახჩა). გადასახადს იხდიან ერბოზე - 200 ახჩა, სკაზე - 80 ახჩა, ცხვარზე - 290 ახჩა, ღორზე - 200 ახჩა. ერთ-ერთი გადასახადი თივაზეა გაწერილი - 80 ახჩა.

უშრის გადასახადი 150 დონუმ ვენახზე შეადგენდა 4610 ახჩას. ჩანს, მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგი მევენახეობაა.

არუსანეს გადასახადი 120 ახჩაა, დეშთიბანისა და მიწაზე თაფუს გადასახადი კი 80 ახჩა.

ბადიჰავას და ჯურუმ ჯიბაიეთის გადასახადი შეადგენდა 200 ახჩას.

ალში 2 თვალი წისქვილია, რომელზეც წლიურ გადასახადად შეწერილია 240 ახჩა.

ოსმალური გადასახადები ალისთვის 20000 ახჩაა დაწესებული.

სოფელ ნაბახტევში (ნაბახთევი) 57 კომლი ცხოვრობს. გადასახადის გადამხდელი 105 სრულასაკოვანი კაცი ფიქსირდება. ისინი იხდიან ისფინჯის გადასახადს 12600 ახჩის ოდენობით. მიწაზე დაწესებულია გადასახადი 150 ახჩა, სამეუფეო ველზე - 20, ხოლო სამეუფეო ვენახზე - 10.

ნაბახტეველებზე გაწერილი იყო 520 ქილა ხორბალი (10400 ახჩა), 250 ქილა ქერი (3750 ახჩა), 100 ქილა ჭვავი (1500 ახჩა) და 130 ქილა ფეტვი (1950 ახჩა). ისინი იხდიდნენ გადასახადს ერბოზე - 800 ახჩა, სკაზე - 500 ახჩა, ცხვარზე - 1200 ახჩა და ღორზე - 800 ახჩა.

უშრის გადასახადი 100 დონუმ ვენახზე გაწერილი იყო 4000 ახჩა, ხილზე - 250 ახჩა.

არუსანეს გადასახადი შეადგენდა 180 ახჩას, დეშთიბანისა და მიწაზე თაფუს გადასახადი - 350 ახჩას.

აქ არის 4 თვალი წისქვილი, რაზეც სრული წლით დაწესებულია გადასახადი 480 ახჩის ოდენობით.

ბადიჰავას ჯგუფის გადასახადი 400 ახჩაა.

ოსმალური ვალდებულებებისა და გადასახადების ოდენობა საკმაოდ დიდია - 39160 ახჩა.

აქვეა დაფიქსირებული სათესველი ნაბახთევი, რომელზეც მითითებულია, რომ იგი „...ახლოსაა სოფელ ნაბახთევთან, ხსენებული სოფლის რეაია დააკავეს და დაასახლეს, ამრიგად სოფელი შექმნეს“.

ახლად აღმოცენებულ სოფელში სახლობს 8 კომლი. გადასახადების გადამხდელი სრულასაკოვანია 17 კაცი. მითითებულია მიწაზე შეწერილი გადასახადის რაოდენობა - 50 ახჩა. ვენახზე ნათქვამია, რომ არის დიბასინხარას ხელში მიწის დღიური მფლობელობით და შეწერილია 2 ახჩა.

გადასახადები მითითებულია რაოდენობის გარეშე და მხოლოდ ჯამია მითითებული - 3500 ახჩა.

სათესველი ნაბახტევის შემდეგ დავთარში აღწერილია კლდისწყარო, რომელშიც ფიქსირდება 11 კომლი. გადასახადების გადამხდელია 25 სრულასაკოვანი კაცი, რომლებიც იხდიან ისფინჯის გადასახადს 2500 ახჩის ოდენობით. მიწაზე გაწერილია გადასახადი დღიური მფლობელობით 50 ახჩის ოდენობით.

კლდისწყაროზე გაწერილი იყო 80 ქილა ხორბალი (1600 ახჩა), 50 ქილა ქერი (750 ახჩა), 20 ქილა ჭვავი (200 ახჩა) და 20 ქილა ფეტვი (200 ახჩა). გადასახადს იხდიდნენ ერბოზე - 80 ახჩა, სკაზე - 50 ახჩა, ცხვარზე - 60 ახჩა და ღორზე - 60 ახჩა.

უშრის გადასახადს 10 დონუმ ვენახზე იხდიდნენ 266 ახჩას.

არუსანეს გადასახადი 120 ახჩაა. დეშთიბანისა და მიწაზე თაფუს გადასახადი კი 25 ახჩა.

იხდიდნენ ნახევარ ბადიჰავას - 25 ახჩას.

ოსმალური ვალდებულებებისა და გადასახადების ჯამი შეადგენდა 5436 ახჩას.

სოფელ დუმაცხოვში (დომაცხოვი) 20 კომლია დაფიქსირებული. აქ გადასახადების გადამხდელი 38 სრულასაკოვანი კაცი არის, რომლების ისფინჯის გადასახადს იხდიან 4560 ახჩის ოდენობით.

მიწაზე დაწესებულია გადასახადი დღიური მფლობელობით 50 ახჩის ოდენობით.

დუმაცხოვზე შეწერილი იყო 200 ქილა ხორბალი (4000 ახჩა), 150 ქილა ქერი (1750 ახჩა), 30 ქილა ჭვავი (450 ახჩა) და 60 ქილა ფეტვი (900 ახჩა). გადასახადს იხდიდნენ ერბოზე - 250 ახჩა, სკაზე - 120 ახჩა, ცხვარზე - 390 ახჩა და ღორზე - 180 ახჩა.

უშრის გადასახადი 50 დონუმ ვენახზე იყო 2000 ახჩა, ხოლო ხილზე - 150 ახჩა.

არუსანეს გადასახადი შეწერილია 120 ახჩა.

არუსანეს გადასახადი შეწერილია 120 ახჩა.

დეშთიბანისა და მიწაზე თაფუს გადასახადი 250 ახჩაა.

აქ არის 2 თვალი წისქვილი, რომელზეც შეწერილია წლიური გადასახადი 240 ახჩა.

ბადიჰავას გადასახადი 350 ახჩაა.

ოსმალური ვალდებულებებისა და გადასახადების ჯამი შეადგენდა 15710 ახჩას. სოფელ ქინძათში აღწერის მიხედვით 9 კომლი ცხოვრობდა. აქ გადასახადის გადამხდელი 17 სრულასაკოვანი კაცია, რომლებიც იხდიან ისფინჯის გადასახადს 2120 ახჩის ოდენობით. მიწაზე გადასახადი დღიური მფლობელობით 50 ახჩას შეადგენდა

შეწერილი გადასახადი 100 ქილა ხორბალი (2000 ახჩა), 50 ქილა ქერი (750 ახჩა), 20 ქილა ჭვავი (300 ახჩა) და 30 ქილა ფეტვი (450 ახჩა). იხდიდნენ გადასახადს ერბოზე - 220 ახჩა, ცხვარზე - 290 ახჩა და ღორზე - 120 ახჩა.

უშრის გადასახადი 20 დონუმ ვენახზე შეადგენდა 800 ახჩას, ხილზე - 120 ახჩას, ბოსტნეულზე - 80 ახჩას.

არუსანეს გადასახადი 120 ახჩაა, დეშთიბანისა და მიწაზე თაფუს გადასახადი - 200 ახჩა. ბადიჰავას გადასახადი შეადგენდა 250 ახჩას.

ოსმალური ვალდებულებების და გადასახადების ოდენობა ქინძათისთვის 7820 ახჩაა.

სოფელ უწლევში 25 კომლია დაფიქსირებული. რაც შეეხება გადასახადი გადამხდელ სრულასაკოვან კაცს, ასეთი უწლევში 53 - ია. ისინი ისფინჯის გადასახადს იხდიან 3660 ახჩის ოდენობით.

მიწაზე გადასახადი დღიური მფლობელობით აქაც 50 ახჩაა. უწლეველები იხდიან 3600 ახჩის რაოდენობის 180 ქილა ხორბალს, 1200 ახჩის 80 ქილა ქერს, 450 ახჩის 30 ქილა ჭვავს და 600 ახჩის 40 ქილა ფეტვს. აგრეთვე იხდიან გადასახადს ერბოზე - 350 ახჩას, სკაზე - 120 ახჩა, ცხვარზე - 200 ახჩა და ღორზე - 180 ახჩა.

უშრის გადასახადს 80 დონუმ ვენახზე შეწერილი იყო 3200 ახჩა, ხილზე - 180.

არუსანეს გადასახადი 120 ახჩაა, დეშთიბანისა და მიწაზე თაფუს გადასახადი 200 ახჩა. ა ქ 3 თვალი წისქვილია, რომელზეც სრული წლით გადასახადი შეადგენს 360 ახჩას.

ბადიჰავას გადასახადი 250 ახჩაა.

ოსმალური ვალდებულებებისა და გადასახადების ჯამი 17370 ახჩაა.

სოფელი წაღვლი მოზრდილი სოფელია, სადაც 69 კომლი ცხოვრობს. მითითებულია, რომ იგი მდებარეობს სათესველ ბერულღინანთან. ბერულღინანის იდენტიფიკაციას ვერ ვახერხებთ.

სამეუფეო ველზე გადასახადი დღიური მფლობელობით 20 ახჩაა, სამეუფეო ვენახზე 5 ახჩა, მიწაზე 150 ახჩა.

ისფინჯი გადასახადს იხდის 128 სრულასაკოვანი კაცი 15360 ახჩის ოდენობით.

წაღვლელები იხდიდნენ 10000 ახჩის ღირებულების 500 ქილა ხორბალს, 3000 ახჩის ღირებულების 250 ქილა ქერს, 1500 ახჩის ღირებულების 100 ქილა ჭვავს და 1950 ახჩის ღირებულების 150 ქილა ფეტვს. გადასახადი შეწერილი იყო ერბოზე - 220 ახჩა, სკაზე - 120 ახჩა, ცხვარზე - 450 ახჩა და ღორზე - 250 ახჩა.

ჩანს, მევენახეობა მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია. უშრის გადასახადი 100 დონუმ ვენახზე 4000 ახჩაა. წარმოდგენილია მეხილეობაც, რომელზეც შეწერილია 150 ახჩა.

არუსანეს გადასახადი 120 ახჩაა, დეშთიბანისა და მიწაზე თაფუს გადასახადი 200 ახჩა.

არის ერთი თვალი წისქვილი, რომელიც „გავერანებულია“.

ბადიჰავასა და მის ჯგუფში გაერთიანებული გადასახადები 550 ოდენობისაა.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

ხაშურის ისტორიისათვის (1693 - 2020 წწ)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ. .#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20, 21,22,23,24,25,26,29,31,33, 34,35,40,41,42,43..2022 წ. #1, 2.3,4,5,6, 7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,27,28,29,3 0,31,32,33,34,35,36,37)

ა/კ რკინიგზაზე საყოველთაოდ გაითქვეს სახელი ხაშურელმა მეელმავლეებმა. საუკეთესოა მიხეილ შიუკაშვილის საელმავლო ბრიგადა, რომელიც გარბენის გეგმას 25 პროცენტით გადამეტებით ასრულებს. 8 დღე-ღამის ნაცვლად მოხარატებით შეკეთებიდან ელმავალი 3 დღე-ღამეში გამოუშვა ბრიგადამ საკუთარი ძალებით. შიუკაშვილის ბრიგადამ 18 ნადავლი ვაგონი ჩააყენა მწყობრში, ერთის ნაცვლად 3 ვაგონი გამოუშვა წლიური შეკეთებიდან.

უფროსი მემანქანის ამხ გიორგი მეგრელიშვილის საელმავლო ბრიგადა მტკიცედ ინარჩუნებს პირველ ადგილს გზის სახალხო საელმავლო გუნდებს შორის. მათ ელმავალი მოხარატებით შეკეთებაში ჩააყენეს გეგმის გადამეტებით 120 000 კილომეტრის გარბენისა და 32 000 მანეთის დაზოგვის შემდეგ.

სხვა მხრივაც სასახელო წარმატებებს მივაღწიეთ, ათობით შეიძლება სხვა საუკეთესო სპეციალისტთა დასახელება.

ახალ წელს ახალი შრომითი აღფრთოვანებით ვიწყებთ და მტკიცედა ვართ დარწმუნებული, რომ პირველ ადგილებს შევინარჩუნებთ – განვამტკიცებთ და გავაფართოვებთ იმ წარმატებას, რომელიც გასულ წელს მოვიპოვეთ“.

ხაშურის ახალგაზრდობა

დ. კაკაბაძეს ეხმაურებოდა საქ. ალკკ ხაშურის რაიკომის მდივანი ვლ. ლაცაბიძე წერილში, „ხაშურის ახალგაზრდობის პატრიოტული საქმე“, წერდა: „ჩვენი რაიონის ახალგაზრდობა აქტიურად მონაწილეობს ფრონტისადმი საყოველთაო-სახალხო დახმარებაში. ომის დღეებში მათ გვიჩვენეს, თუ რა დიდი ძალაა მათში და როგორ მხურვალედ უყვართ ჩვენი სამშობლო...

ფრონტისადმი დახმარების გაძლიერების ნიშნით შეუდგა ქალაქის ახალგაზრდობა სამარაგო ნაწილების დამზადებას მანქანა - ტრაქტორთა სადგურებისათვის. მთელ თავისუფალ დროს დაუღალავად მუშაობდნენ ხაშურელი კომკავშირლები და კავშირგარეშე ახალგაზრდები, რომ რაც შეიძლება, მეტი სამარაგო ნაწილები დაემზადებინათ. დაძაბულ შრომაში გაიარა იანვარმა ახლა უკვე შეჯამებულია ამ ერთი თვის მუშაობის შედეგები, რაც რაიკომს უპატაკეს პირველადმა კომკავშირულმა ორგანიზაციებმა.

იანვარში სულ დამზადებული იქნა სხვადასხვა სახის 182 სამარაგო ნაწილი, მათშია ძვირფასი ნაწილები და იარაღებიც. დამზადებულია 48 ქანჩიანი გასაღები, 28 ჩაქუჩი, 10 ცალი თუნუქის საზეთავი, 20 თუნგი და სხვა.

ჩვენ განსაკუთრებით აღვნიშნავთ რკინიგზის კვანძის ახალგაზრდობის წარმატებას მტს-ებისათვის სამარაგო ნაწილების დამზადების საქმეში. ყველაზე მეტი რაოდენობის სამარაგო ნაწილები დაამზადა საორთქლმავლო დეპოს ახალგაზრდობამ (კომკავშირის კომიტეტის მდივანი ამხ ვ. ტალახაძე). აქ 100 სამარაგო ნაწილი დაამზადეს. კომკავშირლები: კვინიკაძე, ჩიტაძე, ეფინკოვი, მჭედლიშვილი, ყველაზე მეტი მონდომებებით მუშაობენ.

31 ცალი სამარაგო ნაწილი დაამზადა სავაგონო დეპოს ახალგაზრდობამ (კომკავშირის კომიტეტის მდივანი აკ. კიკნაძე) აღსანიშნავია ხარატ ბუაჩიძისა და ზეინკალ აბუაშვილის მუშაობა. მათ ერთად 16 ცალი სამარაგო ნაწილი დაამზადეს.

26 ცალი სამარაგო ნაწილი დაამზადეს ელდეპოელებმა (კომკავშირის კომიტეტის მდივანი ამხ. ახვლედიანი), 20 ცალი – სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სურამის სკოლის კურსანტებმა, 14 ცალი თვითონ მტს-ის კომკავშირლებმა.

ქალაქის ახალგაზრდობა წარმატებით აგრძელებს მუშაობას. იგი უზრუნველყოფს მანქანა-ტრაქტორების სამარაგო ნაწილების დამზადებას. 1944 წლის I კვარტლის სავარაუდო დავალების კეთილსინდისიერად, გადამეტებით შესრულებას. ეს ნაწილები მაღალი ხარისხის იქნება.“

ხაშურის კვანძის საწარმოთა მუშა-მოსამსახურეებმა წითელი არმიის 26-ე წლისთავისა და საბჭოთა საქართველოს 23-ე წლისთავისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ხაშურის საელმავლო და საორთქლმავლო დეპოებმა აგრეთვე მოძრაობის განყოფილებამ თებერვლის თვის I და II დეკადის მაჩვენებლებით პირველი ადგილი დაიკავა ამიერკავკასიის რკინიგზაზე.

1944 წელს აღნიშნული მაჩვენებლები უფრო მეტად გაუმჯობესდა. ლოკომოტივების საერთო გარბენის გეგმა შეასრულეს 130 %-ით, ტვირთზიდვისა – 107,8%-ით, მარაგნაწილების დამზადებისა 115%-ით, ავადმყოფი ელმავლების ნორმა გეგმიური 9-ის ნაცვლად დაიყვანეს 7,6%-ზე, ელექტროენერგიის ხარჯვა შეამცირეს 4,9%-ით და მიაღწიეს 285 000 მანეთის ეკონომიას.

1944 წლის იანვრის თვის მაჩვენებლებით, ხაშურის საელმავლო დეპოს კოლექტივმა მოიპოვა გზათა სახალხო კომისარიატისა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. კოლექტივის წარმატებაში ცალკეულ სპეციალისტებს ჰქონდათ შეტანილი წვლილი, მემანქანე მიხეილ შიუკაშვილი უკვე ერთი წელია ინარჩუნებდა პირველობას გზის საბარგო ელმავლების მემანქანეთა შორის პირველობა ჰქონდა გზაზე მემანქანე-ინსტრუქტორ ირაკლი მაღლაკელიძესაც, დამხმარე საამქროსაც (ხელმძღვანელი ელ. ელისაშვილი)

მექანიკური (საამქროების ოსტატები: ლ. ქვირია და ლ. გვაზავა) საამქროები თვიდანთვემდე ადიდებდნენ შრომის ნაყოფიერებას. პირველმა საამქრომ იანვრის 170,6 პროცენტიდან თებერვალში 206,1 პროცენტამდე გაზრადა შრომის ნაყოფიერება. 175,9 პროცენტს შეადგენდა იანვარში, თებერვალში კი 228,1 პროცენტია მეორე საამქროს შრომის ნაყოფიერება. თებერვალში 318,5 პროცენტი შეადგინა დამხმარე საამქროს ნაყოფიერებამ.

1944 წლის 13 ივლისს, რკინიგზის კლუბში, გაიმართა საზეიმო სხდომა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ხაშურელი რკინიგზელთა გამარჯვების აღსანიშნავად. ამიერკავკასიის საელმავლო დეპოებს შორის პირველი ადგილი და გარდამავალი წითელი დროშა მიენიჭა ხაშურის საელმავლო დეპოს, ასევე პირველი ადგილი მიენიჭა ენერგომომარაგების ხაშურის უბანს. საელმავლო დეპომ და ენერგომომარაგების უბანმა ივნისის თვეში მთელ გზაზე ყველაზე საუკეთესო შედეგები აჩვენა. გზის უფროსის განკარგულებით ამ კოლექტივების ხელმძღვანელები დაჯილდოვდნენ თითო თვის ხელფასით. აგრეთვე გამოიყო თანხა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად.

მათთან ერთად, ა/კ რკინიგზის საორთქლმავლო დეპოებს შორის, შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა ხაშურის საორთქმავლო დეპო, რომელსაც ასევე მიეკუთვნა პირველი ადგილი და გადაეცა გარდამავალი წითელი დროშა. საორთქლმავლო დეპოდან გარდამავალი წითელი დროშები დაიმსახურეს უფროსი მემანქანის გოგნაძის გუნდმა და მეავტომატეთა საამქომ (ხელმძღვანელი ციყელაშვილი). საელმავლო დეპოდან პირველი ადგილი მოიპოვა ლ. ქვირიას საამქრომ. გამარჯვებულებმა ახალი ვალდებულებები აიღეს.

საელმავლო დეპოში მუშაობდა 35 ქალი. მათი უმრავლესობა აქ ომის დაწყების შემდეგ მოვიდა, სწრაფად აითვისეს პროფესიები და ახლა ისინი მუშაობდნენ ტექნიკოსებად, ელმავლის მემანქანეებად, ამწეი ონკანის მემანქანეებად, მეკუჭნავედ, მეისრეებად. ზეინკლებად, შემდუღებლებად.

დეპოს უფროსის მოადგილე კადრების დარგში ნინა გაჩეჩილაძე ხელმძღვანელობდა მრავალი ათეული ადამიანის მომზადებას, რომლებიც წარმატებით მუშაობდნენ სხვადასხვა უბანზე. ნ. გაჩეჩილაძე კარგი მუშაობისთვის დაჯილდოვეს „სტალინური გაწვევის დამკვრელის“ ნიშნით. მემანქანის თანაშემწეები იყვნენ მარო და ნატალია ხოლუაშვილები. მათი ელმავლები ყოველთვის საუკეთესოდ იყო მოვლილი. მათ კარგად ჰქონდათ ათვისებული ელმავლის ტექნიკა და ლუნინურად მუშაობდნენ.

დეპოში მომუშავე 35 ქალიდან 6 სტახანოველი, ხოლო 25 დამკვრელი იყო. შრომით გამოირჩეოდნენ ონკანის მემანქანე ეკატერინე ოგანეზოვა, მეისრეები თამარ შათაშვილი, ოლია პროდაევიჩი და მარიამ თედიაშვილი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქალები წარმატებით ეუფლებოდნენ მეორე პროფესიებსაც. მეონკანე ეკატერინე ოგანეზოვამ, მეისრეებმა ოლია პროდაევიჩმა და თამარ შათაშვილმა შეისწავლეს მემანქანის თანაშემწის პროფესია. ზეინკალი მთიკო ლაბაძე ამავე დროს იყო ხარატიც და სხვა

სამამულო ომის დამამთავრებელ წელს მელოკომოტივეებმა ელმავლების გარბენის გეგმა შეასრულეს 120%-ით, სადღეღამისო გარბენისა 112,6%-ით, ტვირთების გადაზიდვისა 119,3%-ით, ელმავლების ტექნიკური სიჩქარეების 103,7%, ფერადი ლითონის ჩაბარებისა 100,2% და მარაგნაწილების დამზადებისა 112%-ით. ავადმყოფი ელმავლების რაოდენობა ნორმასთან შედარებით შეამცირეს 2%-ით, დაზოგეს 7%-ით ელექტროენერგია და გააკეთეს 957 000 მანეთის ეკონომია.

აღსანიშნავია, რომ 1944 წელს ელდეპოში დაიწყო ქალალდის გამოშვება. 1944 წლის მარტში გამოშვებული იქნა 6 კილოგრამი, აპრილში – 51 კილოგრამი. ქალალდის გამოშვებას ხელმძღვანელობდა ვ. ელისაშვილი, ხოლო ამ საქმეს უშუალოდ აწარმოებდნენ ქალები ქ. ჯაბაზიშვილი, ა. გოგოლაძე, ტ. ბეროზაშვილი, ე. მათიაშვილი და სხვები.

1945 წლის მარტის მაჩვენებლებით დეპოს კოლექტივმა, აგრეთვე მემანქანე ა. ჭყოიძემ, ოსტატებმა გ. მაჩხანელმა, ივ. ციყელაშვილმა მოიპოვეს გზის გარდამავალი წითელი დროშა.

ომის წლებში შრომითი საქმიანობით გამოირჩეოდა საორთქმავლო დეპოს კოლექტივი. განსაკუთრებით ისახელეს თავი მჭედელმა მჭედლიშვილმა, ზეინკლებმა ი. კაკაბაძემ, ჩიტაძემ და ნ. გოგოლაძემ, მეთუნუქე ალ. დიდებულიძემ, ასევეთვე წარმატებით მუშაობდნენ მემანქანეები ს. ბათიევი, ტუროვი, ხუციშვილი, ს. კიკაძე, ვ. ელისაშვილი, მემანქანის თანაშემწე ა. ხაჩიძე და სხვები.

შიდა რესურსების გამოვლენისა და ეკონომიის მისაღწევად დიდი მუშაობა გაჩაღეს მეორთქლმავლეებმა ვ. გოგნაძემ, ტ. ბლიაძემ, დ. ვერმანაშვილმა, რომლებიც ერთ ბრიგადაში იყვნენ გაერთიანებული და 1942 წლის პირველ კვარტალში 21 ათასი მანეთი ეკონომია მიიღეს. მეიარაღე ალ. მელაძემ აღადგინა ათეულობით ქლიბი, რამაც 3000 მანეთის ეკონომია მისცა საწარმოს.

1942 წელს მეორთქლმავლეებმა საწვავის 12%-ით ეკონომიას მიაღწიეს. 1944 წლის მეოთხე კვარტალში დაზოგილი იქნა 97,2 ტ. სათბობი, 1945 წლის იანვარში კი – 65 ტონა.

1943 წლის აპრილის თვე ახალი გამარჯვებებით აღინიშნა საორთქლმავლო დეპოში: საწარმოო გეგმა შესრულდა 153,3 პროცენტით. მოწინავეთა რიგებში იდგნენ მჭედლები (205%), ხარატები (155%), მექანიკოსები (131%), ზეინკლები (125%).

მეორთქლმავლეებმა გარბენის გეგმა 153,7%-ით შეასრულეს, ტექნიკური სიჩქარე 2 კილომეტრით გაადიდეს, ამასთან დაზოგეს საწვავიც.

საერთოდ დეპოს არცერთ მუშას არ შეესრულებია გეგმა 120 პროცენტზე ნაკლებით. განსაკუთრებით დაწინაურდნენ მჭედელი მჭედლიშვილი, ხარატები შ. თომაძე და კ. ლომიძე.

მაღალი შრომითი ნაყოფიერება და დისციპლინა განაპირობებდა იმას, რომ დეპოს არ ქონია წუნის არცერთი შემთხვევა, დეპოს კოლექტივი ამავე დროს წარმატებით უძღვებოდა დამხმარე მეურნეობას.

1943 წელს დაზოგილი იქნა 793 521 მანეთი, 1944 წელს – 886 740, ხოლო 1945 წელს – 634 364 მანეთი.

1943 წელს ფრონტზე დაზიანებული ორთქლმავლების აღდგენის საქმეში თავი ისახელეს გ. ლომიძემ ს. ბათიევმა, გ. ცერცვაძემ, ტ. ბლიაძემ, გ. კიკნაძემ, ყ. ლომიძემ, ლ. კაპანაძემ, ნ. ჩიტიაშვილმა, გ. გიორგაძემ, ი. ოშხნელმა და სხვებმა.

ფრონტზე დარჩენილი ორთქლმავლების აღდგენაზე უსასყიდლოდ, თავისუფალ საათებში იმუშავეს სიკო ბათიევმა, ბ. ჭურდაძემ და კ. კაპანაძემ, რომლებმაც და შეძლეს აღედგენათ და ფრონტზე გაეგზავნათ ერთი ორთქლმავალი.

დეპოს კოლექტივმა სამამულო ომის სხვადასხვა ფრონტზე ორთქმავლების საჭიროებისათვის გაგზავნა შინ დამზადებული ორთქლმავლის 2500 ცალი დეტალი.

1943 წელს მეორთქლმავლეებმა ახალ ინიციატივებს ჩაუყარეს საფუძველი. რადგან შემკეთებელთა კოლექტივი მთლიანად გადავიდნენ ფრონტზე დაზიანებული ვაგონების აღდგენაზე. ყველა ორთქლმავლის ბრიგადამ იკისრა თვითონ ჩაეტარებინა ლოკომოტივის აწევითი და გარეცხვითი რემონტი.

ზეინკლმა ივანე ოშხნელმა, ხარატ შოთა თომაძესთან ერთად, აღადგინა საჩარხო დაზგა, რომელიც ქარხნის რემონტს საჭიროებდა. ეს სამუშაო 15 დღეში მოამთავრეს. მუშაობდნენ კვირა დღეებშიც, მათ ეხმარებოდნენ ზეინკლის მოწაფეები ე. გალუსტიანი და კვინიკაძე. დაზგის შესაკეთებლად გათვალისწინებული იყო 15000 მანეთი, აქედან დაიხარჯა მხოლოდ ერთი მეოთხედი (375 მანეთი). ამ სამუშაოს ჩატარებისთვის ი. ოშხნელი დაჯილდოვდა „სტალინური გაწვევის დამკვრელის“ სამკერდე ნიშნითა და ერთი თვის ხელფასით.

ზეინკალმა გიორგაძემ გააკეთა „ფლიონეკი“, რომლითაც ისინჯებოდა ქვაბის გასაბერი ონკანები და რის შედეგადაც თავიდან იქნა აცილებული ორთქლმავლის გაცივება.

1943 წელს საორთქლმავლო დეპოს კოლექტივმა ორთქლმავლების საერთო გარბენის გეგმა შეასრულა 151 და ლოკომოტივების აწევითი და შეკეთებისა - 140 პროცენტით. თითოეული ორთქლმავლის მოცდენა შეკეთებაში შემცირდა ერთი საათით, ხოლო ავადმყოფი ორთქლმავლების ნორმა 0,5 %-ით. მომზადდა სხვადასხვა პროფესიის 45 კაცი.

ორთქლმავლებზე საწვავი მასალის მომჭირნეობით მიღწეული იქნა 2350 ტონის ეკონომია, შინარეს სურსების საშუალებით დაიზოგა 793 521 მანეთი.

დეპოს ლუნინელი მემანქანეები და მათი თანაშემწეები, რომლებმაც 1943 წლის ნოემბერში უარი განაცხადეს საკომბლექსო ბრიგადების მხრივ დახმარებაზე და საკუთარი ძალებით იწყეს თავიანთი ორთქლმავლების გარეცხვითი და აწევითი შეკეთება, წარმატებით განაგრძობდნენ მუშაობას 1944 წელსაც. იანვრის თვის ბოლოსათვის მათ გარეცხვითი შეკეთებიდან გამოშვებული ჰქონდათ 28, ხოლო აწევითი შეკეთებიდან 1 ორთქლმავალი.

მემანქანეებმა ლ. მანჯგალაძემ, მამიაშვილმა, მემანქანეის თანაშემწეებმა გოგოლაძემ და ხაჩიძემ დეკემბერში თავიანთი №119 ორთქლმავალი გარეცხვითი შეკეთებიდან 2 საათით ადრე გამოუშვეს და წარმოებას რამდენიმე ათასი მანეთის ეკონომია მისცეს.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

- ახალგაზრდობა - იმედი ხვალის -

გელა გაჩეჩილაძე: - ჩემს თანატოლებს ვეტყვი, რომ შრომა ყოველთვის ფასდება და არ მისცენ გარემო პირობებს საკუთარ მიზანზე უარის თქმის საშუალება

გაზეთის დღევანდელი ნომრის რესპონდენტი სულ პატარა მახსოვს. ქერათმიანი, ცისფერთვალება, ერთი ციდა... მოაზროვნე, გონიერი პატარა მოსწავლე. დღეს ჩემი ინტერვიუირებულია და საინტერესო, რბილი, ხავერდოვანი, ბოხი ხმის ტემბრით მიყვება ამერიკულ ამბებს. ის დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-ლიცეუმის მეთორმეტე კლასის

მოსწავლე გელა გაჩეჩლაძეა, რომელიც, როგორც გაირკვა, ყოველთვის დაინტერესებული იყო ადამიანის ფიზიონომიით,მედიცინით და მომავლის პროფესიად სწორედ მედიცინას, კონკრეტულად კი კარდიოქირურგიას ირჩევს.

გელა გაჩეჩილაძემ ერთი აკადემიური სასწავლო წელი ამერიკაში, ნევადის შტატში იცხოვრა და ისწავლა ერთ ჩვეულებრივ ამერიკულ ოჯახში, სადაც, თითქოსდა, არ დაირღვა გელას ოჯახური გარემო და ამერიკულ ოჯახშიც ეს დრო იქაურ მშობლებთან და ბებიასთან გაატარა. იქაც დედისერთა იყო...

ამერიკაშიც დედისერთა გელა, ამერიკელმა მშობლებმ,ა ყველასათვის საოცნებო დისნეილენდში ამოგზაურეს 3 დღის განმავლობაში. კალიფორნიაში, ლოს-ანჯელესთან ახლოს გატარებული დღეები გელასათვის შთამბეჭდავი და დაუვიწყარია.

გელა ამერიკის შეერთებულ შტატებში 2021 წლის 9 სექტემბერს გაემგზავრა თანატოლებთან ერთად და 2022 წლის 12 ივნისს დაბრუნდა. მკითხველს კი ამერიკული ცხოვრების შთაბეჭდილებებსა და გამოცდილების შესახებ უამბობს...

- „FLEX" პროგრამის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ, სწრაფადვე გადავწყვიტე პროგრამაში მონაწილეობა. რამდენიმე ეტაპის გავლის შემდეგ შემარჩიეს ფინალისტად. „FLEX" პროგრამა არის გაცვლითი პროგრამა, რომელიც აძლევს ბავშვებს აშშ-ში ცხოვრებისა და სწავლის შესაძლებლობას ერთი აკადემიური წლით... გაეცნონ ამერიკულ სასკოლო განათლებას, იცხოვრონ ამერიკულ ოჯახებში. ეს ყველაფერი კი, ბუნებრივია, აკავშირებს ქვეყნებს და ხალხს უფრო ახლოს.

- გელა, რამ განაპირობა შენი ფლექსის პროგრამით დაინტერესება?

- ხაშურის ამერიკული კუთხიდან ინფორმაციის მიღების შემდეგ, გადავწყვიტე, რომ პროგრამაში აუცილებლად უნდა მეცადა, მინიმუმ, მონაწილეობა, რადგან ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო ლიდერული თვისებების გამოვლინებების იდეა, ასევე ძალიან მომეწონა ის ფაქტი, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ამერიკელებთან უფრო ახლო ურთიერთობას დავამყარებდი... ძალიან მინდოდა გამოცდილების მიღება და არ გავუშვი შანსი ხელიდან.

- გვიამბე პროგრამის მონაწილეებზე...

- პროგრამის მონაწილეები იყვნენ მოსწავლეები საქართველოს ყველა რეგიონიდან, მათ შორის იყო მოსწავლე, რომელიც წარმოადგენდა აფხაზეთს,გალის რაიონს. ამერიკის შეერთებულ შტატებში გავემგზავრეთ პროგრამის 80 მონაწილე. ჩემთან ერთად ხაშურიდან გავემგზავრეთ 4 მონაწილე. მათ შორის დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-ლიცეუმის მოსწავლე მარიამ ბარბაქაძე, მარიამ ლომიძე ხაშურის მესამე საჯარო სკოლიდან და ნუცა გელაშვილი ხაშურის მეექვსე საჯარო სკოლიდან. მე ერთი წლის განმავლობაში ვცხოვრობდი ნევადის შტატის ჩრდილოეთ მხარეს. ვცხოვრობდი ერთ ჩვეულებრივ ამერიკულ ოჯახში და ვსწავლობდი ასევე ჩვეულებრივ საჯარო სკოლაში. პროგრამის მოთხოვნით ვეწეოდი მოხალისეობრივ სამუშაოებს ყავის მაღაზიაში. პარალელურად, მოხალისეობრივად ვმუშაობდი „რეკორდის" მაღაზიაში, სადაც ვაკეთებდი მუსიკალურ ჩანაწერებს.

- გარდა იმისა, რომ ერთი წლის განმავლობაში ცხოვრობდი და სწავლობდი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ალბათ ყველა მოზარდის საოცნებო ქვეყანაში,რა მოგცა შენ პიროვნულად იქ გატარებულმა ერთმა წელმა?

- ნამდვილად უფრო თამამი ვარ... მეტად დარწმუნებული ვარ საკუთარ თავში, პროგრესი განიცადა ჩემმა ლიდერულმა თვისებებმა, ვარ მეტად თავდაჯერებული,თამამად გამოვდივარ პუბლიკის წინაშე,მეტად თამამად ვდგამ ნაბიჯებს ცხოვრებაში, ვარ მეტად რისკიანიც...

- პროგრამის მონაწილეებს, ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ, თუ გაქვთ დაგეგმილი რაიმე სახის აქტივობები?

- დიახ,სკოლებში ვგეგმავთ მოსწავლეებს გავაცნოთ ინფორმაცია „FLEX" შესახებ. გვქონდა ერთი შეხვედრა ხაშურის ამერიკის კუთხეში, სადაც ბავშვებს გავუზიარეთ ჩვენი გამოცდილება და მივაწოდეთ ინფორმაცია, რა შეუძლიათ გააკეთონ იმისათვის, რომ გახდნენ ფლექსის მონაწილეები.

- ამერიკულ ოჯახთან თუ ინარჩუნებთ კონტაქტს?

- ერთმანეთთან კონტაქტს ვინარჩუნებთ ორივე მხარე და არა მგონია ეს კავშირი როდესმე გავწყვიტო...

- გელა,შენ მთელი ერთი სასწავლო წელი გაატარე ამერიკაში. რა იყო ის ძირითადი განსხვავება ორ ქვეყანას შორის, რაც შენთვის თვალშისაცემია?

- ნამდვილად ჩვენს ქვეყნებს შორის ის განსხვავებაა, რომ ამერიკა ეკონომიკრად გაცილებით ძლიერია, გამართულია. აქ ვგულისხმობ იმასაც, რომ ჩემი ასაკის ბავშვები იქ მუშაობენ. ძალიან ბევრი ბავშვი გადაადგილდება საკუთარი მანქანით. მათ მართვის მოწმობის მიღების უფლება აქვთ 16 წლიდან,მშობლის თანხმობით. რაც შეეხება განათლების სისტემას. სასწავლო პროგრამა ბავშვებისათვის არის გაცილებით მსუბუქი, სწავლა არის თავისუფალი, რომელიც მეტად ორიენტირებულია ბავშვის განვითარებაზე, მისი ინტერესების გამოკვეთასა და მისი არჩევანის პატივისცემაზე. აბსოლუტურად ბავშვზეა დამოკიდებული,თუ რა არჩევანს გააკეთებს იგი და რა არის მისი ცხოვრების მიზანი. სკოლა პატივს სცემს ბავშვის არჩევანს და აძლევს მაქსიმალურს მიზნის მიღწევისათვის.

- თუ იყო შენთვის, ჩვენი კულტურისათვის რაიმე უცხო, ის, რამაც გაგაოცა?

- ჩემთვის საოცარი იყო ნამდვილად ის,რომ ერთმანეთისათვის სრულიად უცხო ადამიანები,ნებისმიერ ლოკაციაზე,ერთმანეთთან ურთიერთობდნენ თავისუფლად,ლაღად. საუცხოო იყო ის,რომ ამერიკაში ხალხი არის უფრო თბილი, ნაკლებად ნეგატიურები, ცდილობენ საკუთარი პრობლემები არ მოახვიონ სხვებს თავს და თავად გაუმკლავდნენ პრობლემებს, იპოვონ გადაჭრის გზები.

- რაც შეეხება სასაუბრო ენას, ხომ არ გაგიჭირდა კომუნიკაცია მათთან. რამდენადაც ცნობილია ამერიკაში არის ბევრი განცხვავებული აქცენტები...

- განსხვავებული აქცენტები არის სამხრეთ და ჩრდილოეთის შტატებში. მე თავად არ გამიჭირდა კომუნიკაცია აქცენტების გათვალისწინებით, რადგან ჩემი მამობილი იყო პენსილვენიიდან, ჩემი დედობილი კი ვაშინგტონის შტატიდან. ორივე მათგანი ჩრდილოეთის შტატებია და არ აქვთ განსხვავებული აქცენტი. აღმოსავლეთის შტატებში უფრო სწრაფად საუბრობენ და ტემბრიც უფრო სწრაფია. დასავლეთში ეს ნაკლებად შეიმჩნევა. განსხვავებებია ასევე სიტყვებსა და სიტყვათა მნიშვნელობებს შორის. მაგალითად, დასავლეთში გაზიან სასმელებს ეძახიან „სოდას", ხოლო აღმოსავლეთ მხარეს, ზოგიერთ შტატში უწოდებენ „ფოფს".

- ურჩევ რაიმეს თანატოლებს?

- ჩემს თანატოლებეს ვეტყვი,რომ შრომა ყოველთვის ფასდება,არასოდეს არ უნდა დანებდე. რაც შეიძლება მეტად უნდა იყვნენ მიზანზე ორიენტირებულნი. არ მისცენ გარემო პირობებს საკუთარ მიზანზე უარის თქმის საშუალება....

თეა ახალკაცი



მიხეილ შაყულაშვილი, რეგიონის ახალგაზრდებთან ერთად, კასპის ტექნოპარკს სტუმრობდა

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის მიხეილ შაყულაშვილის ინიციატივით, რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდები კასპის ტექნოპარკს ესტუმრნენ და ინოვაციური ტექნოლოგიების შესაძლებლობებს გაეცნენ.

ტექნოპარკის ხელმძღვანელმა ხატია ბაინდურაშვილმა შეკრებილებს იმ საქმიანობისა და პროექტების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია, რასაც ტექნოპარკი ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებს. გარდა ამისა, ახალგაზრდები თანატოლი სტარტაპერების საქმიანობასაც გაეცნენ და მათი ნამუშევრების შესახებ პრეზენტაციები მოისმინეს.

შეხვედრას შიდა ქართლი რწმუნებულის მოადგილე აბიკო აბესაძე და კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე დაესწრნენ. ღონისძიებაში მონაწილეობა გორის, კასპის, ხაშურისა და ქარელის სკოლების 100-მდე მოსწავლემ მიიღო.

„ჩვენს ახალგაზრდებთან ერთად კასპში, ტექნო პარკს ვესტუმრეთ. ბავშვებმა ადგილზე ნახეს და გაეცნენ იმ პროგრამებს, რასაც ტექნო პარკი სთავაზობს. ზოგადად, ტექნოპარკის არსებობა უნიკალური შესაძლებლობაა ნიჭიერი ახალგაზრდებისთვის. ჩვენი მიზანია, რომ მოსწავლეებს და დაინტერესებულ ახალგაზრდებს შევუქმნათ შესაბამისი პირობები და მივცეთ შესაძლებლობები, დაეუფლონ ახალ პროფესიებს და ასევე, ხელი შევუწყოთ ინოვაციური აზროვნების განვითარებას. ვფიქრობ, საინტერესო შეხვედრა გამოგვივიდა.“ - აღნიშნა მიხეილ შაყულაშვილმა.

- მუსიკა -

დაუვიწყარი საღამო სამუსიკო კოლაში

13 ოქტომბერი - ხაშურის სამუსიკო სკოლის ისტორიაში ულამაზეს დღედ დარჩება მაღალი ხელოვნების ზეიმი, რომელიც გვაჩუქა თბილისის “ნიჭიერთა ათწლედისა” და კონსერვატორიის პროფესორ-მასწავლებლებისგან შემდგარმა ორკესტრმა და დახვეწილი მანერის, მაღალი კლასის პიანისტის - ნუცა კასრაძის დაუვიწყარმა საშემსრულებლო ოსტატობამ.

ხაშურის სამუსიკო სკოლების გაერთიანების მმართველის - ქ.ნ ლილი რუხაძის დიდი ხნის ოცნებამ და ძალისხმევამ, მისმა ჩართულობამ წლების მანძილზე, რომ ჩვენი სკოლის უნიკალური აკუსტიკის მქონე დარბაზში შესაფერისი ინსტრუმენტი აჟღერებულიყო, შედეგი გამოიღო.

საქართველოს კულტურის სამინისტროს და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსებით, ქ.ნ ლილის და ჩვენი ოცნება ახდა !

სწორედ ამ გასაოცარი ჟღერადობის როიალზე პირველად აჟღერდა უდიდესი კომპოზიტორების - ვ.ა. მოცარტისა და გ.ყანჩელის შედევრები, რომელმაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელზე, რისი დასტურიც იყო ხანგრძლივი აპლოდისმენტები.

მადლობა კულტურის სამინისტროს, კერძოდ მინისტრს - ქ.ნ თეა წულუკიანს !

მადლობა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას და უშუალოდ მერს - ბ.ნ თენგიზ ჩიტიაშვილს და ხაშურის სამუსიკო სკოლების გაერთიანების მმართველს - ქ.ნ ლილი რუხაძეს.

რომ არა მათი ურთიერთთანამშრომლობა, ხელშეწყობა და მიზანდასახულობა, ჩვენ ამ მასშტაბის მუსიკალურ საღამოს და შემსრულებლებს ვერ ვუმასპინძლებდით.

სწორედ ეს როიალი გახდება სამომავლოდ მრავალი კონცერტის, კონკურსის და ფესტივალის მთავარი სავიზიტო ბარათი, რაც ჩვენი ქალაქის და სამუსიკო სკოლის ისტორიის კუთვნილებად დარჩება!

სამუსიკო სკოლის პედაგოგები

- თავისუფალი ჭიდაობა -

წარმატება ქუთაისში

7-8-9 ოქტომბერს, ქ. ქუთაისში ჩატარდა მ.დოხტურაშვილისა და ზ.შეყილაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი, თავუსუფალ სტილით ჭიდაობაში 2008 - 2010 და 2011 - 2012 წლებში დაბადებულთა შორის, ტურნირზე 300-ზე მეტმა სპორტსმენმა მოიყარა თავი, ამ კონკურენციაში ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლის მოჭიდავეებმა დაიკავეს: ერთი პირველი, ორი მეორე და ორი მესამე ადგილი. აი ისინიც: გიორგი გოგალაძე (29 კგ), გიორგი თედეშვილი (62 კგ), გუჯა ლომიძე (75 კგ), თორნიკე ბასიშვილი (35 კგ), ლევან ნოზაძე (38 კგ).

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.